# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 264

„ 25 ” ივლისი 2017 წ

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ ტაბახმელაში უსახელო ქუჩებისთვის მუხრან-თელეთის, აგარანის და წალასყურის სახელების მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) მთაწმინდის რაიონში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მუხრან-თელეთის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) მთაწმინდის რაიონში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს აგარანის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

გ) მთაწმინდის რაიონში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს წალასყურის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

დ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., N6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი


X: 480,612.739
Y:4,610,812.198
X: 480,885.882
Y:4,610,788.326
X: 481,830.857
Y:4,610,879.662
X: 482,137.758
Y:4,610,933.178
მუხრან-თელეთის ქ.
X: 480,942.690
Y:4,610,691.277
აგარანის ქ.
X: 481,849.319
Y:4,610,789.447
წალასყურის ქ.
X: 480,942.690
Y:4,610,691.277
X: 481,752.606
Y:4,610,765.759
X: 481,079.513
Y:4,610,648.817
X: 481,528.523
Y:4,610,693.823
X: 481,077.119
Y:4,610,602.995